ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 159

"22" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

№01.10.18.009.145, №01.10.18.009.146, №01.10.18.009.147, №01.10.18.009.148 საკადასტრო კოდებით გათვალისწინებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს "ლისი ფოსთვის" (ს/კ: №404859792) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 20 მაისის №20.07.575 განკარგულებით გათვალისწინებული ქვემოთ აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით შპს "ლისი ფოსთვის" (ს/კ:№404859792) 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, ზემოხსენებული განკარგულებით განსაზღვრული პირობებით:

ა) ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 2500 კვმ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.009.145.);

ბ) ქ.თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 2400 კვმ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.009.146.);

გ) ქ.თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 1500 კვმ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.009.147.);

დ) ქ.თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 1688 კვმ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.009.148.).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი